ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1925 წლის ნოემბრის 25.

№ 10.

მანდატილება პირველი

გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საკანონმდებლო კომისიის მიერ.

შინაარსი:

მუხ. 500. ა/კ. რკინის გზების წესდების 74 მუხლის შენიშვნის გაუქმებისა და იმავე 74 მუხლის მე-3 ნაწილის ახალი რედაქციის შესახებ.

„ 501. მიწისძვრისგან დაზარალებული ქალ. გორის მცხოვრებთათვის აღმშენებლობის განვითარების მიზნით საგადასახადო შეღავათების მინიჭების შესახებ.

„ 502. ა/კ. ს. ფ. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის სოც. დაზღვევის საბჭოს შედგენილობის დამტკიცების შესახებ.

„ 503. სავაგონო დატვირთვის ნორმის შემცირების შესახებ სომხეთის ვაჭრობის ორგანოებისა და ცეკავშირის მიერ არმიისათვის დამზადებული დატკეცილი თივისა და ჩალის გადასაზიდავად.

„ 504. ა/კ. საგანგებო კომისიის უფლების შესახებ ადმინისტრატიულის წესით განდევნისა, გადასახლებისა და კონცენტრაციულ ბანაკში მოთავსების სფეროში.

„ 505. სასაკონლო-საფონდო ბირჟების სარაიონო რწმუნებულთა შესახებ.

„ 506. ა/კ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე საბჭოებისა და საბჭოთა ყრილობებისა—სამაზრო საბჭოებიდ.ურთ—არჩევნების შესახებ 1926 წლისათვის.

„ 507. 1925—1926 საბიუჯეტო წლის ადგილობრივი ბიუჯეტების დამტკიცებამდე ადგილობრივი ორგანოების მიერ სახსართა ხარჯვის წესის შესახებ.

„ 508. იმის შესახებ, თუ რა ენაზე უნდა იქნეს შედგენილი ა/კ. ს. ფ. ს. რ. ფარგლების გარეშე წარსადგენი და გამოსაყენებელი დოკუმენტი.

„ 509. ერთიანი ნატურალური და ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადაუუდელობის გამო 1924—1925 წლის საგადასახადო კამპანიამდე აღძრულ საქმეთა გაუქმების შესახებ.

„ 510. სპეციალური საგზატკეცილო-საგზაო ფონდის გაუქმების შესახებ.

„ 511. საპასუხისმგებლო შრომის არტელის წესდების დამტკიცებისა და თვით არტელის რეგისტრაციის წესის შესახებ.

„ 512. ა/კ. ს. ფ. ს. რ. ფარგლებში მომქმედი წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ა/კ. კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

„ 513. 1924—1925 საშენაწერო წლის ძირითადი რენტის გადახდის ვადის შესახებ.

„ 514. სავალდებულო საგადანაკვეთოდ ზღვევის ნარჩენის მოხსნის შესახებ.

„ 515. 1-ლი საფეხურის სასოფლო და საქალაქო სკოლის მასწავლებელთა და განათლების სფეროში სოფლად მომუშავე სხვა პირთა პენსიით უზრუნველყოფის შესახებ“ ს. ს. რ. კ. ცენტრ. აღმ. კ—ტისა და სახალხო კომ. საბჭოს მიერ 1925 წ. იანვრის 15-ს თარიღით გამოქვეყნებული დადგენილების შეფარდებიაათვის ა/კ. შრომის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხო კომისარიატისა და ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ 1925 წ. აპრილის 27 თარიღით გამოცემული ინსტრუქციის მე-3 მუხლის განმარტების შესახებ.

„ 516. შრომის არტელთა დაარსებისა, რეგისტრაციისა და ლიკვიდაციის წესის შესახებ.

„ 517. ა/კ. ს. ფ. ს. რ. ქალაქებში (ტფილისისა და ბაკოს გარდა) მინიმალური თანხის—200 მან.—დაწესების შესახებ ბირჟის გარეშე დადებულ გარიგებათათვის, რომელთაც ბირჟაზე რეგისტრაცია უნდა გაუკეთდეს.

„ 518. ბირჟის გარეშე ასანთზე დადებულ გარიგებათა სარეგისტრაციო გამოსაღების შემცირების შესახებ.

„ 519. სახელმწიფო მოსამსახურეთა შრომის დისციპლინის განმტკიცების შესახებ.

„ 520. ა/კ. სოც. საბჭ. რესპ-ბის საკავშირო საბჭოს 1922 წ. აგვისტოს 23-ს დადგენილების გაუქმების შესახებ, რადგანაც ამ დადგენილებამ დაჰკარგა ძალა შრომის ინვალიდთა, აგრეთვე გარდაცვალებულ და უკვალოდ გადაკარგულ დახოცეულთა და შრომის ინვალიდთა ოჯახის წევრების სოციალური დაზღვევის წესით უზრუნველყოფის დებულების სამოქმედოდ შემოღების გამო.

„ 521. ა/კ. ცენ. აღმ. კ—ს 1925 წ. თებერვლის 2-ს დადგენილების შეცვლისა და დამატების შესახებ, რომელი დადგენილებაც შეეხება ა/კ. რკ. გზ. ხოლის მიდამოში მდებარე სადგომებიდან იმ პირთა გამოსახლებას, ვინც ამ რკ. გზ. სამსახურში არ იმყოფება.

„ 522. დებულება ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-საკრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებათან (საქართველოს ს. ს. რ-ში, აზერბაიჯანის ს. ს. რ-ში და სომხეთის ს. ს. რ-ში) არსებული სამრეწველო-ეკონომიური (საკომერციო) განათლების ხელისშემწყობი კომიტეტის შესახებ.

„ 523. ადგილობრივი და უცხოეთიდან შემოტანილი ჩაის საბითუმო და ცალობითი (საეტიკეტო) ფასის შესახებ.

„ 524. ა/კ. ს. ფ. ს. რ. სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოებათა ნორმალური წესდების 38 მუხ. ახალი რედაქციის შესახებ.

„ 525. ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში 1924—1925 საშენაწერო წლის ძირითადი რენტის გადახდის ვადის შეცვლის შესახებ.

„ 526. ა/კ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე ლოტარეის გამართვის აღკრძალვის შესახებ.

„ 527. სასინჯო ზედამხედველობის შესახებ.

„ 528. იმ კანონთა გაუქმების შესახებ, რომელთაც დაჰკარგეს ძალა ს. ს. რ. კ ცენტრ. აღმ. კ-სა და სახ. კომ. საბჭოს მიერ 1925 წ. ოქტომბრის 2-ს დამტკიცებული გადასახადთა გადახდევინების დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

„ 529 ფერმანულ საწარმოოთა სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის ვადის შეცვლის შესახებ.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

500. ამიერკავკასიის რკინისგზების წესდების 74 მუხლის შენიშვნის გაუქმებისა და იმავე 74 მუხ. მე-3 ნაწილის ახალი რედაქციის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. გაუქმებულ იქნეს 74 მუხლის შენიშვნა რ. ს. ფ. ს. რ. რკინის გზების წესდებისა, რომელი წესდებაც შემოღებულია ამიერკავკასიის სოც. საბჭ. რესპ. ტერიტორიაზე ამიერკავკასიის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო საბჭოს 1922 წლის ოქტომბრის 7-ს დადგენილებით (ამიერკავ. ს. ს. რ-ბის ფედ. კავშირის კან. და განკ. კრებ. 1923 წ. მე 5-რი, მუხ. 51).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. აღნიშნული წესდების 74 მუხლის მე-3 ნაწ. მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„უკეთუ ერთი წლის განმავლობაში დღიდან გაყიდვისა არავინ განაცხადებს თავის უფლებას ამ ფულზე, იგი გადაეცემა ა/კ. ს ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატებს“.

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი**

1925 წ. სექტემბრის 28. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 992 №-ში 1925 წ. ოქტომბრის 2-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

501. მიწისძვრისაგან დაზარალებული ქალაქი გორის მცხოვრებთათვის საგადასახადო შეღავათების მინიჭების შესახებ აღმშენებლობის განვითარების მიზნით.

მიწის ძვრისაგან 1920 წ. დაზარალებული ქალაქი გორის აღსადგენად წარმოებული აღმშენებლობის საქმის წარმატებისათვის ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. განთავისუფლებულ იქნენ მიწისძვრის შემდეგ ქალაქ გორში ახლად აგებული შენობების პატრონნი შემდეგი გადასახადისა და გამოსაღებისაგან:

ა) შენობათა გადასახადისაგან;

ბ) საეტლე სარეწავში გამოსაყენებელი ცხენებისა და სხვა პირუტყვის გადასახადისაგან;

გ) შენობათა და აღნაგობის უფლების გასხვისების აქტების ქმნისათვის სანოტარო ორგანოების მიერ გადასახდევინებელი სასყიდლის ზედნართისაგან;

დ) სამრეწველო ბაღებისა და ბოსტნების გადასახადისაგან;

ე) ოთხფეხი საქონლის გადასახადისაგან;

ვ) დამატებითი რენტისაგან;

ზ) სახელმწიფო სასარეწაო და საშემოსავლო გადასახადის ზედნართისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. 1-ლი მუხლის „ა“, „გ“ და „ზ“ პუნქტებში აღნიშნული გადასახადისა და გამოსაღებისაგან განთავისუფლების ვადად დაწესებულ იქნეს 10 წელიწადი, ხოლო დანარჩენისათვის 5 წელიწადი.

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ლუკაშინი**

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. სექტემბრის 28.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 992 №-ში 1925 წ. ოქტომბრის 2-ს.

დადგენილება № 47 ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

502. ა/კ. ს. ფ. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს შედგენილობის დამტკიცების შესახებ.

დამტკიცებულ იქნეს ა/კ. ს. ფ. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს შემდეგი შედგენილობა.

საბჭოს თავმჯდომარე **ა. ი. იაშვილი.**

საბჭოს წევრები:

1. **ი. მ. ჭელიძე** } ამიერკავკასიის პროფ. კავშირთა საბჭოს წარმომადგენელნი.
2. **ვ. მ. შვარცი.** }
3. **ე. ბ. შეფტელი**—აზერბაიჯანის პროფ. კავშ. საბჭოს წარმომადგენელი.
4. **ა. ტ. გოგიბერიძე**—საქართველოს პროფ. ვაკშირთა საბჭოს წარმომადგენელი.
5. **პ. მ. კუზნეცოვი**—სომხეთის პროფ. კავშ. საბჭოს წარმომადგენელი.
6. **ჩინგიზ ილდრიმი**—აზერბაიჯანის სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს წარმომადგენელი.
7. **ა. ი. ყამარაული**—საქართველოს სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს წარმომადგენელი.
8. **ვ. ა. ცატურიანი**—სომხეთის სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს წარმომადგენელი.
9. **ე. ბ. გენკინი**—ა/კ. ფინანსთა სახ. კ-ტის წარმომადგენელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. **გ. ი ჩხეიძე**—ა/კ. რკ. გზ. სამმართველოს წარმომადგენელი.
11. **ა. ნ. ასლანოვი**—ა/კ. რკ. გზათა პროფ. კავშ. საბჭოს წარმომადგენელი.
12. **ზ. ბ. კაცნელსონი**—ს. ს. რ. კ. სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს რწმუნ. (ა/კ. ს. ს. ფ. ს. რ-ში) წარმომადგენელი

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ლუკაშინი**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის თან. დრ. აღ. **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი— სასახლე. 1925 წ. ოქტომბრის 1.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 993 №-ში 1925 წ. ოქტომბრის 3 ს.

დადგენილება ა/კ. რკ. გზების გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა.

1925 წ. სექტემბრის 24.

(ოქმი № 9—419)

503. ამიერკავკასიის რკინის გზების ადგილობრივი მიმოსვლის სავაგონო დატვირთვის ნორმის შემცირების შესახებ სომხეთის ვაჭრობის ორგანოების მიერ არმიისათვის დამზადებული დატკეცილი თივისა და ცეკავშირის მიერ არმიისათვის დამზადებული დატკეცილი ჩალის გადასაზიდავად.

ამიერკავკასიის რკინის გზების ადგილობრივი მიმოსვლის სავაგონო დატვირთვის ნორმის შემცირების შესახებ სომხეთის ვაჭრობის ორგანოების მიერ არმიისათვის დამზადებული დატკეცილი თივის გადასაზიდავად.

ამიერკავკასიის რკინის გზებით სომხეთის ვაჭრობის ორგანოების მიერ დამზადებული დატკეცილი თივის (ს. ს. რ. კ. რკ. გზ. ტარიფთა კრებ. მე-2 ნაწ., 25—Б პოზ., 109 ჯგუფი) გადაზიდვისათვის, ა/კ. რკ. გზ. ყველა სადგურიდან ყველა სადგურამდე, გარდა გადაზიდვისა საპორტო და სასაზღვრო სადგურიდან საპორტო და სასაზღვრო სადგურამდე, სავაგონო დატვირთვის ნორმად დახურულ ვაგონში დაწესებულ იქნეს 5,9 ტონნა (360 ფუთი), უკეთუ ეს დატკეცილი თივა წარმართულია არმიის ადრესით.

შეღავათი ესე შემოღებულია 1 ს წლით და ძალაში შედის შვიდი დღის შემდეგ დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა.

ამიერკავკასიის რკინის გზების ადგილობრივი მიმოსვლის სავაგონო დატვირთვის ნორმის შემცირების შესახებ ცეკავშირის მიერ არმიისათვის დამზადებული დატკეცილი ჩალის გადასაზიდავად.

ამიერკავკასიის რკინის გზებით ცეკავშირის მიერ დამზადებული დატკეცილი ჩალის (ს. ს. რ. კ. რკ. გზ. ტარიფთა კრებ. 22—Б პოზ., 109 ჯგუფი) გადაზიდვისათვის ა/კ. რკ. გზ. ყველა სადგურიდან ყველა სადგურამდე, გარდა გადაზიდვისა საპორტო და სასაზღვრო სადგურიდან საპორტო და საზღვრო სადგურამდე, სავაგონო დატვირთვის ნორმად დახურულ ვაგონში დაწესებულ იქნეს 5,9 ტონნა (360 ფუთი), უკეთუ ეს დატკეცილი ჩალა წარმართულია არმიის ადრესით.

შეღავათი ესე შემოღებულია 1-ს წლით და ძალაში შედის შვიდის დღის შემდეგ დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა.

ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული
საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის
თავმჯდომარის მაგიერ—გამგეობის წევრი **ტერ-მიქაელიანი.**

სატარიფო თათბირის საქმეთა მმართველი **შახბუდაღოვი**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 994 №-ში 1925 წ. ოქტომბრის 4-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

504. ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის უფლების შესახებ ადმინისტრატიულის წესით განდევნისა, გადასახლებისა და კონცენტრაციულ ბანაკში მოთავსების სფეროში.

იმ პირთა დანაშაულებრივ მოქმედების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელნიც ქვემოაღნიშნულ წესისამებრ სოციალურად საშიშ პირებად იქნებიან ცნობილნი,—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. მოწყობილ იქნეს ამიერკავკასიის საგანგებო კომისიასთან განსაკუთრებული თათბირი ხსენებული კომისიის კოლეგიის სამის წევრის შედგენილობით, რომლებსაც დანიშნავს ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტის პრეზიდიუმი. ამ თათბირს მიეცეს განსაკუთრებული უფლება—ადმინისტრატიული წესით გადაასახლოს ხოლმე ერთი ადგილიდან მეორე ადგილას ა/კ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიის ფარგლებში, ვადით არა უმეტეს სამის წლისა, ის პირნი, რომელნიც მის მიერ, ქვემოაღნიშნული ნიშნების მიხედვით, ცნობილ იქნებიან სოციალურად საშიშ პირებად:

ა) ის, ვინც, ამიერკავკასიის ამა თუ იმ რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის საერანადო მუხლების მიხედვით, ეჭვ-მიტანილ იქნება ბანდიტურ თავდაცემაში, გაძარცვაში, ყაჩაღობაში, აგრეთვე მისი დამხმარე და დამფარავი, უკეთუ საკმარისი საბუთი არ არსებობს, რათა საქმე მის შესახებ წარმართულ იქნეს სასამართლოს წესით დევნისათვის.

ბ) ის, ვისაც განსაზღვრული საქმე არა აქვს და ნაყოფიერ შრომას არ ეწევა, სახელდობრ: 1) პროფესიონალი მოთამაშე საყომარბაზო სახლში; 2) შულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლერი და აფერისტი; 3) ყოველგვარი საეჭვო თავსაფარისა და საროსკიპო სახლის პატრონი; 4) კოკაინისა, მორფისა, სანტონინისა და სხვა ნარკოტიული ნივთიერების მოვაჭრე, რომელსაც სათანადო ნებართვა არა აქვს; 5) შავი ბირჟის სპეკულიანტი, რომლის განსაკუთრებული სიბოროტისა ან სოციალურად დამნაშავე წრესთან კავშირის შესახებ იქონიება ცნობა; 6) ის, ვინც თავისი წარსული მოქმედებით სოციალურად საშიში პირია, სახელდობრ: ვისაც წარსულში ეთვლება არა ნაკლებ ორი გამამტყუნებელი განაჩენისა ან ვინც ოთხჯერ ყოფილა დაჭერილი ეჭვმიტანით ქონებრივი ხასიათის დანაშაულისა ან პიროვნების და მისი ღირსების წინააღმდეგ ხელყოფისათვის (ხულიგნობა, პროსტიტუციაში ვისიმე ჩაბმა, სიძვისათვის შუამავლობა და სხვ.)

შენიშვნა. იმ პირთა კატეგორიის გაფართოება, ვიზედაც გავრცელდება ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული გადასახლების უფლება, არ შეიძლება თვინიერ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის განსაკუთრებული დასტურისა თვითეულ შემთხვევაში ცალკე.

2. როდესაც ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის განსაკუთრებული თათბირის მიერ საჭიროდ იქნება ცნობილი უწყებული კატეგორიის ესა თუ ის პირი განდევნოს ამიერკავკასიის ფარგალ გარედ ან მოთავსებულ იქნეს საკონცენტრაციო ბანაკში, დადგენილება ამის შესახებ ძალაში შედის მარტოოდენ გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოსთან არსებული ცენტრალური განსაკუთრებული თათბირის მიერ დამტკიცების შემდეგ.

3. ამა დადგენილების 1 და 2 მუხლის წესისამებრ გაგზავნისა და საკონცენტრაციო ბანაკში მოთავსების შესახებ დადგენილების მიღების დროს, ვიდრე ა/კ. ს. ფ. ს. რ. უზენაესი სასამართლო დაარსდებოდეს, სავალდებულოა მონაწილეობა ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დანიშნული პირისა, რომელსაც მიეცემა საპროკურორო ზედამხედველობის უფლება—მოვალეობა, კერძოდ, უფლება—შეაჩერეს ხოლმე ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის განსაკუთრებული თათბირის დადგენილება და განასაჩიოროს იგი ა/კ. ცენ. აღმ. კ—ტის პრეზიდიუმში.

4. თვითეული ამა თუ იმ პირის გადასახლების შესახებ გამოტანილ დადგენილებაში აღნიშნულ უნდა იქნეს დასაბუთებული მიზეზი გადასახლებისა, რაიონი და ვადა, ამასთანავე გადასახლების საბაბის წინასწარ გამორკვეევას აუცილებლად თან უნდა სდევდეს გადასახლებული პირის დაბარება და დაკითხვა.

5. ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის ქვემდებარე ორგანოს წარდგენას გადასახლების შესახებ, ამას გარდა, თან უნდა სდევდეს შუამდგომლობასთან დართული ადგილობრივი პროკურატურის დასკვნა.

6. იმ პირს, რომლის გადასახლების შესახებ გამოტანილ დადგენილებაში განსაკუთრებული თათბირის მიერ აღნიშნულია სავალდებულო საცხოვრებელი ადგილი, ჩამოერთმევა გადასახლების დროის განმავლობაში აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წევრობის უფლება და გადასახლების რაიონში მიმოსვლის უფლება.

7. ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის განსაკუთრებული თათბირი თავისი მოქმედებისათვის პასუხისმგებელია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა და გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს განსაკუთრებული თათბიროს წინაშე.

8. გაუქმებულ იქნეს ამერკავკასიის რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებთან გადასახლებისა და კონცენტრაციულ ბანკში მოათავსების საქმისათვის არსებული კომისიები.

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. სექტემბრის 14.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა-“ს 998 №-ში 1925 წ. ოქტომბრის 9-ს.

დადგენილება № 57 ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

1925 წ. ოქტომბრის 5.

505. სასაქონლო-საფონდო ბირჟების სარაიონო რწმუნებულთა შესახებ.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი **დებულება** სასაქონლო-საფონდო ბირჟების სარაიონო რწმუნებულთა შესახებ:

1. რათა გაადვილებულ იქნეს ბირჟის გარეშე დადებულ გარიგებათა რეგისტრაცია ა/კ. ს ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. სექტემბრის 1-ს დადგენილების წესისამებრ, აგრეთვე რათა, რაც შეიძლება სისავსით იქნეს გამოაშკარავებული და გეზაღებული სავაჭრო ბრუნვა და შესწავლილი სასაქონლო ბაზარი სასაქონლო-საფონდო ბირჟების მოქმედების რაიონებში, ამ ბირჟებთან დაარსდება სარაიონო რწმუნებულების თანამდებობა.

2. რწმუნებულის მუდმივ სამყოფელ ადგილს და მისი მოქმედების რაიონს განსაზღვრავს ბირჟის კომიტეტი და დაამტკიცებს ამერკავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი.

3. სარაიონო რწმუნებულს თანამდებობაზე დანიშნავს და დაამტკიცებს ბირჟის კომიტეტის პრეზიდიუმი.

4. რწმუნებული მიიღებს სათანადო დაწესებულებისა, საწარმოს და პირისაგან ცნობებს ბირჟის გარეშე დადებულ გარიგებათა შესახებ, თანახმად შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1924 წ. ოქტომბრის 17 ინსტრუქციისა (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კან. კრებ. 1924 წ. მე-8 №-რი, მუხ. 269)

აღნიშნული ცნობები წარდგენილ უნდა იქნეს ორ ცალად.

შენიშვნა 1. უკეთუ წარდგენილი ცნობები სრული არ იქნება, რწმუნებულს უფლება აქვს მოსთხოოს სათანადო დაწესებულებას შინა-ეკონომიკის სახალხო კომისარიატის ზემოაღნიშნული ინსტრუქციის მე-13 მუხლში გათვალისწინებული დამატებითი ცნობები.

შენიშვნა 2. ის ცნობები, რომელიც არ შეიცავს ყველა საჭირო მასალას, რეგისტრაციაში გატარებულ იქნება იმ პირობით, რომ ყველა ის ცნობა, რაც აკლია, გამორკვევისთანავე დაუყოვნებლივ წარედგინება რწმუნებულს.

5. ყველა წარდგენილ ცნობას რწმუნებული შეიტანს ყაითანგაყრილ და ბირჟის კომიტეტის ბეჭედასმულ სარეგისტრაციო დავთარში, რომელსაც ვერავინ ვერ მიეკარება, გარდა სარეგისტრაციო ბიუროს წევრებისა, სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოებისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ეკონომიკის სახალხო კომისარიატის იმ ორგანოებისა, რომელნიც განახორციელებენ უწყებული ბირჟის ზედამხედველობას.

6. რწმუნებული პასუხისმგებელია იმისათვის, რომ სარეგისტრაციო დავთარში შეტანილი ცნობები ეთანადებოდეს მისთვის წარდგენილ მასალას.

7. წარდგენილი ცნობების სარეგისტრაციო დავთარში შეტანისას რწმუნებული აღნიშნავს ამ ცნობების ერთ-ერთ ცალზე გარიგების რეგისტრაციას და დაუბრუნებს მას ცნობების წარმდგენელ დაწესებულებას თუ პირს, ხოლო მეორე ცალს, რეგისტრაციის თარიღისა და ნომრის აღნიშვნით, დაუყოვნებლივ გაუგზავნის განსახილველად სასაქონლო-საფონდო ბირჟის სარეგისტრაციო ბიუროს.

შენიშვნა. უკეთუ რწმუნებული სცნობს, რომ ესა თუ ის გარიგება არ შეესაბამება ეკონომიურ მიზანშეწონილობას, იგი მოვალეა, გარიგების ცნობებთან ერთად, წარუდგინოს სარეგისტრაციო ბიუროს თავისი დასკვნა ამ გარიგების შესახებ.

8. უკეთუ რწმუნებულის მიერ რეგისტრაციაქმნილი, ბირჟის გარეშე დადებული გარიგების შესახებ წარდგენილი ცნობების განხილვის დროს სარეგისტრაციო ბიურო სცნობს, რომ გარიგება მეურნეობრივად მიზანშეუწონელია, სარეგისტრაციო ბიუროს დადგენილება ეცნობება რწმუნებულს მის სარეგისტრაციო დავთარში აღსანიშნავად და იმ დაწესებულებისა თუ პირისათვის შესატყობინებლად, რომელმაც გარიგება სარეგისტრაციოდ წარადგინა.

9. ის დაწესებულება თუ პირი, რომელმაც გარიგებას რეგისტრაცია გაუკეთა რწმუნებულთან, განთავისუფლდება ამ გარიგების შემდგომი რეგისტრაციისაგან ბირჟაზე.

10. ბირჟის გარეშე დადებული გარიგების შესახებ ცნობების მიღებისას რწმუნებული გადაახდევინებს დაწესებულ სარეგისტრაციო გამოსაღებს, და აგრეთვე ადგილობრივ გადასახადს, უკეთუ ამ გადასახადის გადახდევინება დაკისრებული აქვს ბირჟას.

11. შემოსული გამოსაღების ყველა თანხას რწმუნებული შეიტანს ბირჟის სახელდახელო ანგარიშზე ან გაუგზავნის მას ბირჟის კომიტეტის მიერ დადგენილ წესისამებრ და ვადაზე.

12. ბირჟის გარეშე დადებულ გარიგებათა რეგისტრაციის გარდა, სარაიონო რწმუნებულს დაეკისრება შემდეგი მოვალეობა:

ა) მიიღოს ბირჟაზე გადასაცემად ცნობები კოოპერაციისა და სხვა დაწესებულებისა, ორგანიზაციისა თუ პირის მიერ საინფორმაციოდ წარდგენილ გარიგებათა შესახებ;

ბ) შეჰკრიფოს და წარდგინოს ბირჟაზე, ბირჟის კომიტეტის მიერ დაწესებულ ფორმით და ვადაზე, ცნობები ადგილობრივი საბაზრო ფასებისა და მოთხოვნისა და მიწოდების შესახებ;

გ) გასცეს ცნობები საკოტერო, საბაზრო და სხვ. ფასების შესახებ სასაქონლო-საფონდო ბირჟის მასალების მიხედვით და აგრეთვე ბირჟაზე არსებული მოთხოვნა-მიწოდების შესახებ;

დ) გამოარკვიოს და აღნუსხოს თავის რაიონში ის დაწესებულებანი და პირნი, რომელნიც აწარმოებენ ვაჭრობას და დამზადებას, და მოვალენი არიან თავიანთ, ბირჟის გარეშე დადებულ, გარიგებას რეგისტრაცია გაუკეთონ; წარადგინოს ბირჟის კომიტეტში ცნობები იმის თაობაზე, რაც ამ დაწესებულებათ არა-თავისდროზე და არა-სრული რეგისტრაცია გაუკეთებიათ თავიანთი გარიგებისათვის;

ე) მიიღოს განცხადებანი იმ ორგანიზაციათა და პირთაგან, რომელთაც სასაქონლო-საფონდო ბირჟის წევრად უნდათ შესვლა;

ვ) გამოიკვლიოს ბირჟის კომიტეტის დავალებით ადგილობრივი ბაზარი, მისი კონიუნკტურა, საჭიროებანი, სავაჭრო პრაქტიკა და სხვ.

13. სარაიონო რწმუნებული უშუალოდ ემორჩილება ბირჟის კომიტეტს და თავისი მოქმედების სფეროში იგი იხელმძღვანელებს ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. სექტემბრის 19-ს დადგენილებას, შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1924 წ. ოქტომბრის 17-ს ინსტრუქციას და ამა დადგენილებას, აგრეთვე ბირჟის კომიტეტის ინსტრუქციებს და დადგენილებებს.

14. რწმუნებული მოვალეა წარუდგინოს ხოლმე ბირჟის კომიტეტს, ამ კომიტეტის მიერ დაწესებულ ფორმით და ვადაზე, თავისი მოქმედების პერიოდული ანგარიშები.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა ვაჭრობის სახალხო
კომისრის მაგიერ **ბუკრეევი.**

საქმეთა მმართველი **ეირანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 999 №-ში 1925 წ. ოქტომბრის 10 ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

506. **ა/კ. სფსრ ტერიტორიაზე საბჭოებისა და საბჭოთა ყრილობების—სამაზრო საბჭოებითურთ—არჩევნების შესახებ 1926 წლისათვის.**

რათა საბჭოებისა და საბჭოთა ყრილობების—სამაზრო საბჭოებითურთ—არჩევნები გეგმაშეწონილად სწარმოებდეს და ამიერკავკასიის მშრომელთა უფლებანი დაცულ იქნეს ა/კ სფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების კონსტიტუციათა და იერთო-საკავშირო კანონმდებლობასთან სრულის შეთანხმებით, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

წინადადება მიეცეს ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს:

1. შეუდგნენ ცენტრალური და ქვემდგომი საარჩევნო კომისიების ორგანიზაციას და აგრეთვე სხვა წინასწარ ღონისძიებას საბჭოებისა და საბჭოთა ყრილობების მომავალი არჩევნების მოსამზადებლად.

2. საარჩევნო კამპანია დაწყებულ უნდა იქნეს ნოემბრის ნახევრიდან იმ ანგარიშით, რომ იგი დამთავრებულ იქნეს 1926 წ. თებერვლისათვის.

3. საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა დანიშნის შესახებ მომქმედი წესების გამონაკლისად დამყარებულ იქნეს შემდეგი წესი: ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს დანიშნავს სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, ხოლო ქვემდგომი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს—ზემდგომი აღმასრულებელი კომიტეტის პლენუმი.

4. საარჩევნო კომისიების შედგენილობაში, როგორც ცენტრალურში, ისე ქვემდგომში, უნდა შედიოდნენ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელნი.

5. განცხადება, უწყება და ყოველგვარი მიმართვა ამომრჩეველებისადმი დაწერილი უნდა იყოს, რესპუბლიკანურ ენასთან ერთად, აგრეთვე ეროვნულ უმცირესობათა ენაზედაც; ასევე უზრუნველყოფილ უნდა იქნეს განხორციელება ყველა მათი უფლებისა, რაც მინიჭებული აქვთ ა/კ. ს. ფ. ს. რ-სა და მასში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით ეროვნულ უმცირესობათა ენის შესახებ.

6. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ტელეგრაფით.

ამიერკავკასის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. ოქტომბრის 12

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1002 №-ში 1925 წ. ოქტომბრის 14-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა.კ. ს.ფ.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

507. 1925—1926 საბიუჯეტო წლის ადგილობრივი ბიუჯეტების დამტკიცებამდე ადგილობრივი ორგანოების მიერ სახსართა ხარჯვის წესის შესახებ.

რათა, ადგილობრივი ბიუჯეტების დამტკიცებამდე, ადგილობრივი ორგანოების სახსართა ხარჯვაში დამყარებულ იქნეს გეგმაშეწონილობა—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ნება დაერთოს ადგილობრივ ორგანოებს, ვიდრე 1925—1926 საბიუჯეტო წლის ადგილობრივი ბიუჯეტები დამტკიცდებოდეს, დახარჯონ ოქტომბრის განმავლობაში არა უმეტეს ერთი მეთორმეტედი ნაწილისა 1924—1925 წ. წლიურ საბიუჯეტო დანიშნულებათა, რაც დამტკიცებულია სათანადო რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების მიერ ქვემოაღნიშნულ სახარჯო მუხლების მიხედვით:

ა) ადგილობრივი მეურნეობის ყველა დარგში—სამუშაო ხელფასისა და სოციალური დაზღვევისათვის;

ბ) ადგილობრივი მეურნეობის ყველა დარგში—საკანცელარიო ხარჯებისათვის;

გ) ადგილობრივი მეურნეობის ყველა დარგში—სამეურნეო ხარჯებისათვის, სახელდობრ: წყლის მიწოდება, განათება, ასანიზაცია, ტელეფონების სასყიდელი, სულიერი ინვენტარის შენახვა და წვრილი სამეურნეო ხარჯი;

დ) საწარვლინებო ხარჯებისათვის ადმინისტრატიულ დაწესებულებათა, იუსტიციის ორგანოთა, ჯანმრთელობის განყოფილებათა, აგრონომიულ ქსელისა და საევტერინაარო დაწესებულებათა;

ე) ადგილობრივი მეურნეობის ყველა დარგში—სასურსათო ხარჯებისათვის;

ვ) საზოგადოებრივი სარგებლობისა და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა ხარჯებისათვის.

2. ხარჯების გაწევა დავალიანების სფეროში, რაც 1925 წ. ოქტომბრის 1-თვის დაგროვდა, კრედიტების დახურვის გამო, ნებადართულ იქნეს—ადგილობრივი ორგანოების მიერ 1925—1926 წლისათვის ნაანგარიშევი რაოდენობით.

3. ახალ ღონისძიებათა განხორციელება და ქსელის გაფართოება შეუძლებელია, ვიდრე სათანადო კრედიტები დამტკიცებულ არ იქნება.

4. ა/კ.ს.ფ.ს.რ-ში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების მიერ ადგილობრივი ბიუჯეტების დამტკიცების საბოლოო ვადად ჩაითვალოს ა/წ. ნოემბრის 1-ლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ა/კ.ს.ფ.ს.რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს ნება ეძლევა გამოსცეს ინსტრუქციები ამა დადგენილების განსავითარებლად.

6. დადგენილება ესე სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ტელეგრაფით.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კ.ს.ფ.ს.რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოდგილე **ს. ლუკაშინი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. ოქტომბრის 12

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1002 №-ში 1925 წ. ოქტომბრის 14 ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

508. იმის შესახებ, თუ რა ენაზე უნდა იქნეს შედგენილი ა/კ.ს.ფ.ს.რ. ფარგლების გარეშე წარსადგენი და გამოსაყენებელი დოკუმენტი.

„ა/კ.ს.ფ.ს.რ. სახელმწიფო დაწესებულებათა ენის შესახებ" ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1923 წ. აგვისტოს 13-ს თარიღით გამოცემული დეკრეტის (ა/კ.ს.ფ.ს.რ. კან. და განკ. კრებ. 1923 წ. მე-10 №-რი, მუხ. 173) დასამატებლად და განსავითარებლად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დაეკალოს ა/კ.ს.ფ.ს.რ-ში შემავალ რესპუბლიკების ყველა სახელმწიფო დაწესებულებას და საზოგადოებრივ ორგანიზაციას—ა/კ.ს.ფ.ს.რ. ფარგლების გარეშე წარსადგენი და გამოსაყენებელი დოკუმენტები შეადგინონ ხოლმე უწყებული რესპუბლიკის ენაზე და პარალელურად რუსულ ენაზე.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. ოქტომბრის 12.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1004 №-ში 1925 წ. ნოემბრის 16 ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

509. ერთიანი ნატურალური და ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადაუხდელობის გამო 1924—1925 წლის საგადასახადო კამპანიამდე აღძრულ საქმეთა გაუქმების გამო.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემცირების შესახებ ს. ს. რ. კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სეესიისა და საერთო-საკავშირო საბჭოთა მე 3 ყრილობის მიერ მიღებულ დადგენილებასთან დაკავშირებით ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ა. 1) მოსპობილ იქნეს ყველა, სასამართლო, საგამომძიებლო და ადმინისტრატიულ ორგანოების წარმოებაში ქონებული საქმე, რომლითაც გლეხია პასუხისგებაში მიცემული ერთიანი ნატურალური გადასახადისა და ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადაუხდელობისათვის წინა საგადასახადო კამპანიების დროს — 1924-1925 წლის კამპანიამდე.

2) გაუქმებულ იქნეს ყველა ის სასამართლო განაჩენი და აგრეთვე ადმინისტრატიული და საფინანსო ორგანოების დადგენილება ამგვარი საქმეების გამო, რაც ამა თუ იმ მიზეზით აქამდე აღსრულებაში არ იქნა მოყვანილი, როგორც პირადი სასჯელისა, ისე ქონებრივი გადასახდელის სფეროში.

3) განთავისუფლებულ იქნეს ვადამდე სასჯელისაგან ყველა ის გლეხი, რომელიც იხდის სასჯელს (თავისუფლების აღკვეთა, იძულებითი მუშაობა) 1-ლ მუხლში აღნიშნული საქმის თაობაზე გამოტანილი განაჩენისა და დადგენილების გამო.

4) მოხსნილ იქნეს შეკვრა, რომელიც ადევს მსჯავრდადებულის ქონებას განაჩენში აღნიშნული ქონებრივი გადასახდელის თანახმად, ხოლო მსჯავრდადებულისათვის ჩამორთმეული ქონება, რაც ჯერ გაუყოველია და ამა თუ იმ ადმინისტრატიული ორგანოს განკარგულებაშია, დაბრუნებულ იქნეს კუთვნილებისამებრ.

ბ. 1) წინადადება მიეცეს ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს — ამა დადგენილების განხორციელება დააკისრონ განსაკუთრებულ სამაზრო კომისიებს, რომელთა დადგენილებაც საბოლოოა და არ განისაჩივრება.

2) ამა დადგენილების განსახორციელებლად დაწესებულ იქნეს 3 თვის ვადა დღიდან გამოქვეყნებისა, და ციფრობრივი ცნობები კომისიების მუშაობის შესახებ, ამ მუშაობის დამთავრებისთანავე, წარედგინოს ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარიატს.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომ. თავმჯდომარე **ზ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასოულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი — სასახლე. 1925 წ. ოქტომბრის 12.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1004 №-ში 1925 წ. ოქტომბრის 16-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახ. კომისართა საბჭოსი.

510. ცენტრალური საგზატკეცილო-საგზაო ფონდის გაუქმების შესახებ.

რადგანაც 1925—1926 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულებით (ს. ს. რ. კ. კან. კრებ. 1925 წ. 31 №-რი, მუხ. 209) დაწესებულია ანარიცხები ადგილობრივ საჭიროებათათვის—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომატეტი და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო დგენენ:

ამიერკავკასიის ცენტ. აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი 1924 წ. ივლისის 9-სა—საგზატკეცილო-საგზაო ფონდის დაარსების შესახებ (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კან. კრებ. 1924 წ. მე-5 №-რი, მუხ. 176) და 1924 წ. ნოემბრის 24 სა—წინა დადგენილების მე-2 ხუხლის შეცვლის შესახებ (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კან. კრებ. 1924 წ. მე-8 №-რი, მუხ. 288) —**გაუქმებულ** იქნეს

შენიშვნა. ყველა ის სახსარი, რაც დარჩა 1924—1925 წ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის 10%-ანი ზედნართიდან, მთლად გამოყენებულ იქნეს ადგილობრივი მნიშვნელობის საგზაო აღმშენებლობისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ლუკაშინი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1925 წ. ოქტომბრის 12. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1004 №-ში 1925 წ. ოქტომბრის 16 ს.

დადგენილება № 48 ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

511. საპასუხისმგებლო შრომის არტელის წესდების დამტკიცებისა და თვით არტელის რეგისტრაციის წესის შესახებ.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. იმ საპასუხისმგებლო შრომის არტელის წესდება, რომელიც თავის მოქმედებას გაავრცელებს მთლად ა/კ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე, დამტკიცებულ უნდა იქნეს ა/კ. ს. ფ. ს. რ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ ა/კ. ს. ფ. ს. რ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წარდგენით. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ წესდების დამტკიცების შემდეგ არტელს რეგისტრაცია უნდა გაუკეთდეს ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატში; ამასთანავე არტელი მოიპოვებს იურიდიული პირის უფლებას რეგისტრაციის მოხდენის მომენტიდან.

2. იმ საპასუხისმგებლო შრომის არტელის (1-ლ მუხ. აღნიშნულის გარდა) წესდების დამტკიცების წესს, რომელიც ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედობს, განსაზღვრავს ამ რესპუბლიკის კანონმდებლობა.

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნული არტელის რეგისტრაციას მოხდენს სათანადო რესპუბლიკაში მყოფი ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო.

3. მე-2 მუხლში აღნიშნული არტელი ვერ გახსნის საგენტოს, კონტორას, განყოფილებას და სხვა რამ ამისთ. ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი სხვა რესპუბლიკის ტერიტორიაზე თვინიერ ამა რესპუბლიკის სათანადო ორგანოს განსაკუთრებული ნებართვისა. ხოლო აღნიშნულ არტელის წევრს შეუძლიან შეასრულოს თავისი დაწესებულებისა და საწარმოს მინდობილობა მოლად ა/კ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე.

ა/კ. ს. ფ. ს. რ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ლუკაშინი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭ. საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი—სისახლე. 1925 წ. ოქტომბრის 1.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1004 №-ში 1925 წ. ოქტომბრის 16-ს.

დადგენილება № 49 ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

512. ა/კ. ს. ფ. ს. რ-ის ფარგლებში მომქმედი, წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ამიერკავკასიის კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება ა/კ. ს. ფ. ს. რ-ის ფარგლებში მომქმედი, წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ამიერკავკასიის კომიტეტის შესახებ.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ლუკაშინი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. ოქტომბრის 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგულეგა ა/კ. ს. ფ. ს. რ-ის ფარგლეგში მოქმედი, წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ამიერკავკასიის კომიტეტის შესახებ.

1. საერთო დებულებანი.

1. წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ამიერკავკასიის კომიტეტი არსებობს გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან, რომელიც იმყოფება ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოსთან. კომიტეტი სათავეში უდგას მთლად წყალში დაღუპვისაგან გადარჩენის ორგანიზაციას ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში და აგრეთვე მთლად კასპიის ზღვაზე—ასტრახანის რეიდითურთ. ამ ტერიტორიაზე იგი უმაღლესი ორგანოა, რომელიც ხელმძღვანელობს და განაგებს წყალში დაღუპვისაგან გადარჩენის საქმეს და მის წესიერად დაყენებას და განვითარებას.

2. ა/კ. ს. ფ. ს. რ-ის ფარგლებში მომქმედი წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ამიერკავკასიის კომიტეტი მოქმედობს ს. ს. რ. კ. გზათა სახალხო კომისარიატთან არსებული წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ცენტრალური კომიტეტის უმაღლესი ხელმძღვანელობით. წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენ ამიერკავკასიის კომიტეტს უშუალოდ ექვემდებარებიან წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ადგილობრივი კომიტეტები, რომელნიც დაარსებულ იქნებიან იმ ადგილას, სადაც ამას საჭიროდ დაინახავს ცენტრალური ან ამიერკავკასიის კომიტეტი. ადგილობრივი კომიტეტები მოქმედობენ მათთვის გამოცემულ განსაკუთრებულ დებულებათა თანახმად, და მათ თავიანთ გამგებლობაში ჰყავთ წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი დაწესებულებანი და მოხალისეთა საზოგადოებანი. ეს საზოგადოებანი მოეწყობიან ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების სათანადო კანონმდებლობის წესისამებრ, რაც გამოცემულია ისეთ საზოგადოებათა შესახებ, რომელნიც მოგების გამორჩენას არ მისდევენ.

3. წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ამიერკავკასიის კომიტეტი იცავს მშრომელთა სიცოცხლეს წყლის საშიშროებისაგან ა/კ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე და თავის უშუალო მიზნად ისახავს:

ა) მიიღოს წინასწარი ღონისძიებანი, რათა წყალზე მოსალოდნელი უბედურება არ მოხდეს;

ბ) გადაარჩინოს ხალხი წყალში დაღუპვისაგან.

გ) მოაწყოს დახმარება ხალხისა და ნავჯურჭლებისათვის, რომელთაც წყალზე უბედურება შეემთხვევა;

დ) მიიღოს თავის დროზე სათანადო ღონისძიება წყალზე სტიქიური უბედურების დროს;

ე) ფართოდ გაავრცელოს წყალში დაღუპვისაგან გადარჩენის იდეა და გააცნოს სანაპირო მოსახლეობას—განსაცდელში მყოფი ნავჯურჭლებისა და ხალხის გადამრჩენი საშუალებანი და ხერხი;

3) ჩაბას თვით, დამოუკიდებლად, და თვისი ქვემდებარე ორგანოების მეშვეობით, წყალში დაღუპვისაგან გადარჩენის საქმეში მოსახლეობის ფართო

ფრენები, სახელმწიფო დაწესებულებანი, სახელმწიფო საწარმონი, საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაციები.

II. კომიტეტის ორგანიზაცია.

4) წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ამიერკავკასიის კომიტეტი შესდგება თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილისაგან, რომელთაც დანიშნავს ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო, და წევრთაგან შემდეგ უწყებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენლების სახით: ამიერკავკასიის პორტების განყოფილებისა—ორი წარმომადგენელი და თითო წარმომადგენელი: საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოსი, ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა, კავკასიის წითელდროშიანი არმიის სამხედრო-რევოლიუციონური საბჭოსი, შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა, ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოსი, პროფესიონალურ კავშირთა ა/კ. საბჭოსი, ა/კ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოსი, ლენინელ ახალგაზრდების კომუნისტური კავშირის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტისა და თითო წარმომადგენელი წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ-მთვარის ყველა ეროვნული საზოგადოებისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების წუალზე მომუშავეთა კავშირებისა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებისა.

შენიშვნა. კომიტეტის დადგენილებით, მის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება მიწვეულ იქნენ სხვა, კომიტეტში განსახილველი საკითხებით დაინტერესებულ, უწყებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენელნი, აგრეთვე სხვა-და-სხვა სპეციალური საკითხების მცოდნე პირნი, ხოლო ეს უკანასკნელნი მარტოოდენ სათათბირო ხმით.

5. კომიტეტი დანიშნავს ტეხნიკურ პერსონალს და მის მეთაურ პირს იმ შტატების ფარგლში, რაც დაწესებულ იქნება სახარჯთაღრიცხვო წესით.

III. კომიტეტის უფლება-მოვალეობანი.

6. კომიტეტის სხდომებს დანიშნავს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე საჭიროებისადა მიხედვით, ხოლო, ყოველ შემთხვევაში, თვეში ორჯერ მაინც.

7. კომიტეტის სხდომა შემდგარად ჩაითვლება, უკეთუ დაესწრო თავმჯდომარე ან მისი მოადგილე და კომიტეტის ექვსი წევრი მაინც.

8. გადაწყვეტილებას კომიტეტი მიიღებს ხმის მარტივი უმეტესობით; უკეთუ ხმები თანასწორად გაიყო, თავმჯდომარის ხმა გადასძლევს. უკეთუ კომიტეტის დადგენილების წინააღმდეგ ერთ-ერთი წევრი პროტესტს განაცხადებს და სამის დღის განმავლობაში ამ პროტესტს დაადასტურებს იმ უწყების ან ორგანიზაციის მეთაური, რომელსაც აღნიშნული წევრი წარმოადგენს, საკითხი გადასაწყვეტად გადაიტანება ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოში.

9. კომიტეტის დადგენილება დამტკიცებულ უნდა იქნეს გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მიერ (რომელიც იმყოფება ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახ. კომ. საბჭოსთან) და მხოლოდ ამის შემდეგ მოიყვანება აღსრულებაში სათანადო უწყებისა და დაწესებულების მეშვეობით.

10. კომიტეტის მოქმედებას ხელმძღვანელობას უწევს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე. მათვე აქვთ დაკისრებული მეთვალყურეობა კომიტეტის დადგენილებათა აღსრულებისათვის და მიმდინარე მიწერ-მოწერა კომიტეტის სახელით.

11. კომიტეტის საქმისწარმოებას განაგებს პასუხისმგებელი მდივანი.

12. წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენ ამიერკავკასიის კომიტეტს დაეკისრება:

ა) განახორციელოს ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში წყალში დაღუპვისაგან გადარჩენის საქმის საერთო ღონისძიებანი, რაც დაწესებულ და ნაკარნახევი იქნება წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ცენტრალური კომიტეტის მიერ;

ბ) საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს წყალში დაღუპვისაგან ადგილობრივ კომიტეტებისა და მოხალისეთა საზოგადოების მოქმედებას და ზედამხედველობა იქონიოს ამ მოქმედებისათვის;

გ) განიხილოს და გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში) მეშვეობით წარადგინოს, დადგენილი წესისამებრ, დასამტკიცებლად დებულების პროექტი წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენ ადგილობრივ კომიტეტების შესახებ;

დ) განიხილოს იმ წესებისა და ინსტრუქციების პროექტები, რაც აღსასრულებლად სავალდებულოა წყალში დაღუპვისაგან გადარჩენის სფეროში, და რაც შეეხება განსაცდელში მყოფ ნავჭურჭლისა და ხალხისათვის დახმარების აღმოჩენას და წინასწარ ღონისძიებათა მიღებას, რათა წყალზე და სტიქიური მოვლენის დროს მოსალოდნელი უბედურება არ მოხდეს, აგრეთვე გაატაროს ეს პროექტები სათანადო ორგანოებში;

ე) გამოარკვიოს, თუ რამდენად იღებენ რეალურ მონაწილეობას და რამდენად დაინტერესებულ არიან უწყებანი, დაწესებულებანი, ორგანიზაციები და საწარმონი (როგორც სახელმწიფო, ისე კერძონი) წყალში დაღუპვისაგან გადარჩენის საქმეში, და მიიღოს ღონისძიება, რათა ისინი ჩაებნენ აქტიურ მოქმედებაში და წყალში დაღუპვისაგან გადარჩენის საქმის განვითარებას მატერიალურად ხელი შეუწყონ;

ვ) შეიმუშაოს გეგმა დახმარების ორგანიზაციისათვის წყალდიდობისა, მდინარეთა გადმოვარდნისა, ყინულის დაძვრისა, მეთევზეობის მწარმოებელი მოსახლეობის მასსიური უბედურებისა და სხვა რამ ამისთ. მოვლენის დროს, და გაატაროს ეს გეგმა სათანადო ორგანოებში;

ზ) აწარმოოს სწორი აღნუსხვა და რეგისტრაცია ა/კ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე მომქმედი, წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენ მოხალისეთა ყველა საზოგადოებისა;

თ) მოაწყოს და გამართულობით უზრუნველჰყოს იმ პუნქტში და რაიონში, სადაც ეს შესაძლებელი იქნება, წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი სათანადო დაწესებულება (საკრეისერო გადამრჩენი სამსახური, სადგური, მცირე-სადგური და სადარაჯო);

ი) შეიმუშაოს და განიხილოს სავალდებულო დადგენილების პროექტები წყალში დაღუპვისაგან გადარჩენის სფეროში;

კ) გამოსცეს და გაავრცელოს, როგორც მოსახლეობის შორის, ისე უწყებათა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა შორის (სახელმწიფო და კერძო) სპეციალური ბროშურები, სახელმძღვანელონი, დარიგებანი, ფურცლები, პლაკატები და სხვ., რაც შეეხება წყალში დაღუპვისაგან გადარჩენას, განსაცდელში მყოფი ნავჭურჭლისა და ხალხისათვის დახმარების აღმოჩენას და წინასწარ ღონისძიებათა მიღებას, რათა წყალზე და სტიქიური მოვლენის დროს მოსალოდნელი უბედურება არ მოხდეს;

ლ) მოაწყოს კომისიები წყალში დაღუპვისაგან გადარჩენისა და განსაცდელში მყოფი ნავჭურჭლებისა და ხალხისათვის დახმარების აღმოჩენის საქმის ცალ-ცალკე დარგის შესწავლისა და შემუშავებისათვის, აგრეთვე ამ სფეროში ახალ აღმოჩენათა განსახილველად;

მ) გადასწყვიტოს უთანხმოებანი, რაც აღიძვრის ადგილობრივ კომიტეტებსა და წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენ საზოგადოებათა შორის;

ნ) წაახალისოს თავდადება და სიმამაცე წყალში მაღრჩვალთა და განსაცდელში მყოფი ნავჭურჭლისა და ხალხის გადარჩენისათვის და აგრეთვე განსაკუთრებით თვალსაჩინო, საზოგადოებრივ სასარგებლო მუშაობა წყალში დაღუპვისაგან გადარჩენის სფეროში, გასცეს ქების ფურცლები, სიგელები, დიპლომები, ნიშნები ან ფულადი ჯილდო ან და წარადგინოს მთავრობის ჯილდოზე;

ო) მოიწვიოს ამერკავკასიის მასშტაბით ყრილობები და თათბირები წყალში დაღუპვისაგან გადარჩენის საკითხებისათვის;

პ) მოაწყოს ლექციები, მიტინგები, კონცერტები, წარმოდგენები, საღამოები, საჩვენებელი სეირნობანი, ბაზრები და სხვ.; მოაწყოს კონკურსები და შეჯიბრებანი წყლის სპორტის სფეროში ფიზიკური, კულტურის უმაღლეს საბჭოს თან შეთანხმებით; აწარმოოს ნებაყოფლობითი შეწირულების შეგროვება და გაავრცელოს სპეციალური გამოცემანი, ჟეტონები, ნიშნები, მარკები, და სხვ., როგორც იმ მიზნით, რომ ფართოდ გაავრცელოს ს. ს. რ. კ. მოსახლეობის შორის წყალში დაღუპვისაგან გადარჩენის იდეა, ისე ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენ ორგანიზაციების სახსართა გასაძლიერებლად;

ჟ) განაგოს კრედიტები დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში;

რ) შეიმუშაოს კომიტეტის ხარჯთაღრიცხვის პროექტი და განიხილოს ადგილობრივი კომიტეტების სახარჯთაღრიცხვო განზრახულებანი მომავალი წლისათვის და აგრეთვე წარსული წლის წლიური ანგარიშები;

ს) გაანაწილოს წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენ ადგილობრივ კომიტეტებ შორის გადარჩენისათვის საჭირო ქონება.

13. დაკისრებულ მოვალეობათა შესასრულებლად წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენ ამერკავკასიის კომიტეტს უფლება ეძლევა:

ა) უშუალოდ მიმართოს თავისი გამგებლობის საგნების გამო ა/კ. ს. ფ. ს. რ-სა და მასში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ და ადგილობრივ დაწესებულებათ (გარდა ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, ა/კ. ᲐᲐᲐᲚᲮᲝ კომისართა საბჭოსი, ა/კ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი, და აგრეთვე ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომიტეტებისა, სახალხო კომისართა საბჭოებსა და უმაღლესი ეკონომიური საბ-ჭოებსა).

ბ) შეიძინოს, გაასხვისოს, მიიღოს საჩუქრად, აიღოს და გასცეს იჯარით ყოველგვარი ქონება; დასდოს ხელშეკრულება და გარიგება და, საერთოდ, მოახ-დინოს ხოლმე განკარგულება მთლად თავის ქონების შესახებ.

IV. კომიტეტის სახსარი.

14. წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ამიერკავკასიის კომიტეტის ფულად სახსარს შეადგენს:

ა) გზათა სახალხო კომისარიატის მიერ ხარჯთაღრიცხვით გადადებული თანხები;

ბ) ლექციებისა, წარმოდგენებისა და კონცერტების გამართვით, გამოცემა-თა გაყიდვით და სხვ. რამ ამისთ. მიღებული შემოსავალი;

გ) შეწირული თანხები;

დ) კანონის წესით დადგენილი გადასახადისა და გამოსაღების თანხები.

15. წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ამიერკავკასიის კომიტეტი არსე-ბობს გზათა სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვის კრედიტების ანგარიშზე.

16. კომიტეტის წევრს და აგრეთვე წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენ ორ-განიზაციის თანამშრომელს აქვს იგივე უფლებანი, რაც გზათა სახალხო კომი-სარიატის ყველა თანამშრომელს.

17 კომიტეტის წევრს და აგრეთვე მისი ტეხნიკური აპარატის თანამშრო-მელს აქვს დადგენილი სახის ფორმის ტარების უფლება.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1005 №-ში 1925 წ. ოქტომბრის 17-ს.

დადგენილება ა/კ. ს. ფ. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატისა.

1925 წ. ოქტომბრის 6.

513. 1924—1925 საშენაწერო წლის ძირითადი რენტის გადახ-დის ვადის შესახებ.

1924—1925 საშენაწერო წლის ძირითადი რენტის გადახდის ვადის შესა-ხებ სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ ა/წ. სექტემბრის 23-ს თარი-ღითა და 0435646 №-რით გამოცემული დადგენილების თანახმად—ა/კ სფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი ადგენს:

დაწესებულ იქნეს ა/კ სფსრ-თვის 1924—1925 საშენაწერო წლის ძირითა-დი რენტის გადახდის უკიდურეს ვადად 1925 წლის ოქტომბრის 31.

ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილე **გენკინი.**

საგადასახადო სამმართველოს უფროსის
თანამდ. აღმასრულებელი **ოსიტაშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1006 №-ში 1925 წ. ოქტომბრის 18 ს.

№40 ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 50 აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

514. სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის ნარჩენის მოხსნის შესახებ.

მიიღო რა ანგარიშში სახელმწიფო დაზღვევის მოქმედების შედეგი საგადანაკვეთო დაზღვევის ოპერაციების სფეროში, აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მოხსნილ იქნეს 1922—1923 საოპერაციო წლის ნარჩენი შენობათა ცეცხლისაგან სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევისა ყველა იმ დასახლებულ პუნქტებში, რომლებზედაც გავრცელებული იყო ეს დაზღვევა, გარდა: საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში ქალ.—ტფილისისა, ქუთაისისა და ფოთისა; აფხაზეთის სოც. საბჭ. რ-ში—ქალ. სოხუმისა; აჭარის სოც. საბჭ. რ-ში—ქალ. ბათუმისა; აზერბაიჯანის სოც. საბჭ. რ-ში—ქალ. ბაქოს, განჯისა და ნუხისა; სომხეთის სოც. საბჭ. რ-ში—ერევნისა და ლენინაკანისა.

ა/კ სფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ლუკაშინი.**

ა/კ სფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. ოქტომბრის 1.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1006 №-ში 1925 წ. ოქტომბრის 18-ს.

დადგენილება აკსფსრ შინა-საჭროგის სახალხო კომისარიატისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატისა

1925 წ. ოქტომბრის 9.

515. „1-ლი საფეხურის სასოფლო და საქალაქო სკოლის მასწავლებელთა და განათლების სფეროში სოფლად მომუშავე სხვა პირთა პენსიით უზრუნველყოფის თაობაზე" სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1925 წ. იანვრის 15-ს თარიღით გამოქვეყნებული დადგენილების შეფარდებისათვის ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა და ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატ-ს მიერ 1925 წ. აპრილის 27 თარიღით გამოცემული ინსტრუქციის მე-3 მუხლის განმარტების შესახებ.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი და ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატი განმარტავენ, რომ ყოფილ 2-კლასიან სამინისტრო სკოლაში სამსახური

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებლის თანამდებობაზე ჩაითვლება 25 წლის სტაჟში, რაც საჭიროა პენსიის უფლების შესაძენად წელთა დამსახურებისათვის (მუხლი მე-3 სსრკ ცენ. აღმ. კომ. და სახ. კომის. საბჭოს 1925 წ. იანვრის 15-ს დადგენილებისა „1-ლი საფეხურის სასოფლო და საქალაქო სკოლის მასწავლებელთა და განათლების სფეროში სოფლად მომუშავე სხვა პირთა პენსიით უზრუნველყოფის შესახებ“) (ა/კ სუსრ მომქედი შრომის კანონმდებლობის კრებ., გამოც. 1925 წ., მუხ. 476).

ა/კ. შრომის სახალხო კომისრის

მოადგილე **იაშვილი.**

ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილე **გენკინი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1007 №-ში 1925 წ. ოქტომბრის 20-ს.

ინსტრუქცია ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა

1925 წ. ოქტომბრის 8.

516. შრომის არტელთა დაარსებისა, რეგისტრაციისა და ლიკვიდაციის წესის შესახებ.

(გამოცემულია „შრომის არტელების შესახებ“ ა/კ. ცენ. აღმ. კ-ს მიერ 1925 წ. აპრილის 27-ს თარიღით გამოქვეყნებული დადგენილების 22 მუხ. თანახმად (ა/კ. შრ. სახ. კ-ტის „შრომის კანონმდებლობის ვესტნიკი“-ს მე-10—11 №-რი მაისის 30-სა)

1. შრომის არტელის წესდების რეგისტრაციას მოახდენს მისი მოწყობის ადგილას სარეგისტრაციო კომისია, რომელიც დაარსებულია რესპუბლიკანურ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან სამრეწველო კოოპერატიულ შენაერთთა რეგისტრაციისათვის, რესპუბლიკანური შრომის სახალხო კომისარიატის მონაწილეობით

2. განცხადებას რეგისტრაციის შესახებ ხელი უნდა მოაწეროს დაწესებულების სახელით შვიდმა კაცმა მაინც; ამასთანავე მათი ხელმონაწერი შემოწმებულ უნდა იქნეს კანონით დადგენილი წესისამებრ სანოტარო კანტორაში, სახალხო სასამართლოში, ვოლოსტის აღმ. კომიტეტში ან სოფლის საბჭოში.

შენიშვნა. არტელის დამფუძნებლად და წევრად არ შეიძლება იყოს არა მხოლოდ ისეთი პირი, რომელიც დაქირავებული შრომის ექსპლოატაციას ეწევა უშუალოდ, მოგების გამოსარჩენად, არამედ ისეთი პირიც, რომელიც არა-შრომის შემოსავლით სცხოვრობს.

3. განცხადებასთან ერთად წარდგენილ უნდა იქნეს:

ა) ხუთი ცალი წესდება, რასაც ხელმოაწერს ყველა ის დამფუძნებელი, რომელსაც ხელი მოწერილი აქვს განცხადებაზე; ამასთანავე მათ ხელმონაწერის შემოწმება წესდებაზე საჭირო არ არის;

ბ) საანკეტო ცნობები დამფუძნებელთა სოციალური მდგომარეობის შესახებ ამ მომენტისათვის, როდესაც შევსებულ იქნება ანკეტა—ორცალად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) მილიციისა ან ხელისუფლების სხვა ორგანოს—ქალაქის აღმ. კ-ტ-სა, უბნისა, თემისა, დაირისა და რაიონის აღმ. კ-ტისა, სოფლის საბჭოს და სხვა ამგვარი დაწესებულების—მიერ შემოწმებული ხელწერილი დამფუძნებლისა, რომ იგი დაქირავებული შრომის ექსპლოატაციას არ ეწევა და არა-შრომის შემოსავლით როდი სცხოვრობს.

შენიშვნა. ვიდრე შრომის არტელების ნორმალური წესდება გამოქვეყნდებოდეს, ამ არტელების რეგისტრაცია უნდა მოხდეს წესდებათა საფუძველზე და ეს წესდებანი შედგენილ უნდა იქნეს ა/კ. ცენტრ. აღმ. კომიტეტის 1925 წ. აპრილის 27 დადგენილების თანახმად.

4. სარეგისტრაციო კომისია სამის დღის ვადაზე, დღიდან განცხადების მიღებისა, ერთ ცალ წესდებას გაუგზავნის დასკვნისათვის რესპუბლიკანურ შრომის სახალხო კომისარიატს, რომელიც შეათანხმებს მას სათანადო რესპუბლიკანურ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან ა/კ. ცენ. აღმ. კო-ტის 1925 წ. აპრილის 27-ს დადგენილებით გათვალისწინებულ ვადის განმავლობაში.

5. წინა მუხლში აღნიშნული დასკვნის მიღებისას სარეგისტრ. კომისია მოვალეა განიხილოს ორი კვირის განმავლობაში განცხადება რეგისტრაციის შესახებ.

6. უკეთუ რესპუბლიკანურ შრომის სახალხო კომისარიატსა ან სარეგისტრაციო კომისიას საწინააღმდეგო არა ექნებათ-რა არტელის დაარსების გამო იმის მიხედვით, თუ რა ცნობები აქვთ შრომის ბაზრის მდგომარეობის შესახებ იმ ადგილას, და თუ წესდებაშიაც არა იქნება რა ისეთი, რაც კანონს ეწინააღმდეგება,—წესდება შეიტანება რეესტრში. წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისია ან უარს იტყვის წესდების რეგისტრაციაზე, ან დაუბრუნებს წესდებას დამფუძნებელთ საჭირო ცვლილებისა და დამატების შესატანად.

7. შეუთანხმებლობა რესპუბლიკანურ შრომის სახალხო კომისარიატსა ან მის წარმომადგენელსა სარეგისტრაციო კომისაში და ამ კომისიის სხვა წევრებ შორის გადაწყდება ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტის 1925 წ. აპრილის 27-ს დადგენილების მე-13 მუხ. გათვალისწინებული წესით. იმავე წესისამებრ განიხილება დამფუძნებელთა საჩივარი რესპუბლიკანური შრომის სახალხო კომისარიატისა ან სარეგისტრაციო კომისიის მოქმედების გამო.

8. ყველა ცვლილება და დამატება რეგისტრაციაქმნილ წესდებისა გატარებულ უნდა იქნეს რეგისტრაციაში იმავე წესით, როგორც წესდება.

9. რეესტრში წესდების შეტანის მომენტიდან შრომის არტელი შეიძენს იურიდიული პირის უფლებას.

შენიშვნა. საადათო შრომის არტელი, რომელიც მოქმედობს მარტოოდენ შრომის ჯგუფობრივი ხელშეკრულობით (დურგლები, მიწის მთხრელნი და სხვ.), შეიძლება დაარსდეს აგრეთვე წერილობითი და სიტყვიერი ხელშეკრულობით; ხოლო ამ შემთვევევაში იგი არ უნდა იქნეს რეგისტრაციაში გატარებული ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტის 1925 წ. აპრილის 27 ს დადგენილების წესით და მას იურიდიული პირის უფლებანი არ ექნება.

10. შრომის არტელის ლიკვიდაცია, როგორც ა/კ. ცენ. აღმ. კ-ს 1925 წ. აპრილის 27-ს დადგენილების მე-20 მუხ. გათვალისწინებულ შემთხვევაში, ისე სხვა შემთხვევაში, მოხდება მომქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესისამებრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. შრომის არტელებისათვის შემოღებულ უნდა იქნეს განსაკუთრებელი რეესტრები, სამრეწველო კოოპერატიულ ამხანაგობათა რესტრებისაგან განცალკევებით.

12. თანახმად ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტის 1925 წ. აპრილის 27-ს დადგენილების მე-8 მუხლისა, სარეგისტრაციოდ წარდგენილ განცხადებას და წესდებას საღერბო გამოსაღები არ გადაჰხდება.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარი **ს. იაკუბოვი.**

შრომის ბაზრის განყოფილების გამგის მაგიერ **თუმანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1007 №-ში 1925 წ. ოქტომბრის 20 ს.

ინსტრუქცია აპსფსრ შინა-ვაჭროგის სახალხო კომისარიატისა

1925 წ. ოქტომბრის 12.

517. ა/კსფსრ-ის ქალაქებში (ტფილისისა და ბაქოს გარდა) მინიმალური თანხის — 200 მან. — დაწესების შესახებ ბირჟის გარეშე დადებულ გირიგებათათვის, რომელიც ბირჟაზე რეგისტრაცია უნდა გაუკეთდეს.

ბირჟის გარეშე დადებულ გარიგებათა რეგისტრაციის შესახებ ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ ა/კსფსრ სასაქონლო-საფონდო ბირჟებისათვის გამოცემული ინსტრუქციის (კან. კრებ. 1924 წ. მე 8 №-რი, მუხ 269) მე-3 მუხ. შესაცვლელად ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი აწესებს:

1. ა/კსფსრ ყველა ქალაქისათვის, ტფილისისა და ბაქოს გარდა, მინიმალურ ნორმას — 200 მან., — რომელი თანხიდანაც დაწყებული ყველა, ბირჟის გარეშე დადებულ, გარიგებას რეგისტრაცია უნდა გაუკეთდეს ბირჟაზე, თანახმად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა „ბირჟის გარეშე დადებულ გარიგებათა რეგისტრაციის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრებ. 1924 წ. მე-8 №-რი, მუხ. 222).

2. ქალ ტფილისისა და ბაქოსათვის ნორმა დატოვებულ იქნეს 500 მან.

ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო
კომისრის მოადგილე **გამყრელიძე.**

ვაჭრობის მოწესრიგების სამმართველოს
უფროსი **სტეფანიანი.**

საქმეთა მმართველი **ეირანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1007 №-ში 1925 წ. ოქტომბრის 20-ს.

ინსტრუქცია ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

1925 წ. ოქტომბრის 12.

518. ბირჟის გარეშე ასანთზე დადებულ გარიგებათა სარეგისტრაციო გამოსაღების შემცირების შესახებ.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სასაქონლო-საფონდო ბირჟებისათვის გამოცემული ინსტრუქციის (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კანონთა კრებ. 1924 წ. მე-8 №-რი, მუხ. 269) 24 მუხ. დასამატებლად ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატი აწესებს ბირჟის გარეშე ასანთზე დადებული გარიგების რეგისტრაციისათვის სარეგისტრაციო გამოსაღებს გარიგების თანხის ერთი მერვედი პროცენტის რაოდენობით და წინადადებას აძლევს ა/კ. ს. ფ. ს. რ. სასაქონლო-საფონდო ბირჟებს—ამიერიდან ბირჟის გარეშე ასანთზე დადებულ გარიგებათათვის სარეგისტრაციო გამოსაღების გადახდევინების დროს იხელმძღვანელონ ესე დადგენილება.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო
კომისრის მოადგილე **ბუკრეევი.**

ვაჭრობის მოწესრიგების უფროსი **სტეფანიანი.**

საქმეთა მმართველი **ეირანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1007 №-ში 1925 წ. ოქტომბრის 20-ს

დადგენილება № 68 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა და ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა.

1925 წ. ოქტომბრის 10-ს.

519. სახელმწიფო მოსამსახურეთა შრომის დისციპლინის განმტკიცების შესახებ.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა და ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მიერ „მოსამსახურეთა შრომის დისციპლინის შესახებ" 1925 წ. თებერვლის 27 თარიღითა და 13 №-რით გამოქვეყნებული დადგენილებისა და ამავე კომისარიატების მიერ „დასვენებისა და უქმე-დღის წინა დღეს მოსამსახურეთა მეცადინეობის წესის შესახებ" 1925 წ. მარტის 31-ს თარიღით გამოცემული განმარტების გასაუქმებლად,—შრომისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატები ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დაევალოს ყველა სახელმწიფო დაწესებულებას დაიწყოს მუშაობა სწორედ დილის 9 საათზე და დაასრულოს დღის $15\frac{1}{2}$ საათზე, იმ პირობით, რომ საერთო ხანგრძლიობა არ აღემატებოდეს $6\frac{1}{2}$ საათს (ამ ნაწში იგულისხმება $\frac{1}{2}$ საათით მუშაობის შეწყვეტა პურის ჭამისათვის).

შენიშვნა. ცალკე შემთხვევაში ამიერკავკასიის რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებს, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით, უფლება აქვთ ნება დართონ ცალკე დაწესებულებას და საწარმოს, მისი სამუშაოს განსაკუთრებული ხასიათის მიხედვით, შესცვალოს მუშაობის დაწყებისა და დამთავრებისათვის დაწესებული დრო.

2. მეცადინეობის შეწყვეტა პურის საჭმელად, რასაც თვითეულმა მოსამსახურემ $\frac{1}{2}$ საათზე მეტი არ უნდა მოანდომოს სამუშაო დღის განმავლობაში, განსაზღვრულ იქნება თვითეულ დაწესებულებაში ცალკე, შინაგანი განრიგების წესებისამებრ, რისთვისაც ანგარიშში მიღებულ უნდა იქნეს სამუშაოს ხასიათი, იმ პირობით-კი, რომ მეცადინეობის ნორმალური მსვლელობა დაწესებულებაში დარღვეულ არ იქნეს. ყოველკვირეული დასვენების დღის წინა-დღეს და საერთო-საკავშირო რევოლიუციონური დღესასწაულების წინა-დღეს მეცადინეობის ასეთი შეწყვეტა არ მოხდება, და მოსამსახურეთა სამუშაოზე ყოფნის საერთო ხანგრძლიობა ამ დღეებში 6 საათს არ უნდა აღემატებოდეს.

3. მოსამსახურენი მოვალენი არიან ბეჯითად გამოცხადდნენ ხოლმე სამსახურში დადგენილ დროს, დაუგვიანებლად და შესწყვიტონ იგი სწორედ საამისოდ დანიშნულ დროს.

დაწესებულების ადმინისტრაცია დაამყარებს კონტროლის ფორმას თავის დროზედ სამსახურში მოსვლისა და სამსახურიდან წასვლისა, აგრეთვე მოსამსახურეთა სამუშაო დროის აღნუსხვის ფორმას (სატაბელო დაფების სისტემა და სხვ.)

4. ამიერკავკასიის რესპუბლიკების შრომისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატები, თავიანთი ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით, დაამყარებენ მეთვალყურეობას ყველა იმ ღონისძიებათა სისწორით და სიმტკიცით განხორციელებისათვის, რაც მიმართულია შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად და შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად სახელმწიფო მოსამსახურეთა შორის.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარი **ს. აკუბოვი.**

ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა

ინსპექციის სახალხო კომისარი **ა. ნაზარეთიანი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1008 №-ში 1925 წ. ოქტომბრის 21-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ სფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

520. ამიერკავკასიის სოც. საბჭ. რესპუბლიკების საკავშირო საბჭოს 1922 წლის აგვისტოს 23-ს დადგენილების გაუქმების შესახებ, რადგანაც ამ დადგენილებამ დაჰკარგა ძალა შრომის ინვალიდთა, აგრეთვე გარდაცვალებულ და უკვალოდ გადაკარგულ დაზღვეულთა და შრომის ინვალიდთა ოჯახის წევრების სოციალური დაზღვევის წესით უზრუნველყოფის დებულების სამოქმედოდ შემოღების გამო.

შრომის ინვალიდთა, აგრეთვე გარდაცვალებულ და უკვალოდ გადაკარგულ დაზღვეულთა და შრომის ინვალიდთა ოჯახის წევრების სოციალური დაზღვევის წესით უზრუნველყოფის შესახებ 1925 წ. აგვისტოს 25-ს თარიღის დებულების (გამოქვეყნებულია „იზვესტია"-ს 204 №-ში 1925 წ. სექტემბრის 8-ს) სამოქმედოდ შემოღების გამო — ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კ სფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

გაუქმებულ იქნეს ამიერკავკასიის სოც. საბჭ. რესპუბლიკების საკავშირო საბჭოს დეკრეტი — ინვალიდობის გამო სოციალურად უზრუნველყოფის შესახებ და მშრომელთა ოჯახის წევრების სოციალურად უზრუნველყოფის შესახებ, უკეთუ ამ ოჯახის შემნახველი გარდაიცვალა (ა/კ. ს. ს. რ-ბის საკავ. საბჭ. კანონთა კრებ. 1922 წ. მე-2 №-რი, მუხ. 23).

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კ სფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ლუკაშინი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი — სასახლე. 1925. წ. ოქტომბრის 12.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1009 №-ში 1925 წ. ოქტომბრის 22-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

521. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წ. თებერვლის 2-ს დადგენილების შეცვლისა და დამატების შესახებ, რომელი დადგენილებაც შეეხება ამიერკავკასიის რკინისგზის ზოლის მიდამოში მდებარე სადგომებიდან იმ პირთა გამოსახლებას, ვინც ამ რკინისგზის სამსახურში არ იმყოფება.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წ. თებერვლის 2-ს დეკრეტს „ამიერკავკასიის რკინისგზის ზოლის მიდამოში მდებარე სადგომებიდან იმ პირთა გამოსახლების შესახებ, რომელნიც ამ რკინისგზის სამსახურში არ იმყოფებიან (ა/კსფსრ კან. და განკ. კრებ. 1925 წ. მე-2 №-რი, მუხ. 360) დაემატოს მე-6, 7 და 8 მუხლი შემდეგი რედაქციისა:

მუხ. 6. გამოსახლება ამა დადგენილების 1-ლი მუხლის თანახმად მოხდება:

ა) იმ შემთხვევაში, როდესაც დასაცლელი სადგომი გამოყენებულ უნდა იქნეს ტეხნიკური საჭიროებისათვის ან იმ პერსონალის საცხოვრებლად, რომლის იქ ცხოვრებას მოითხოვს მისი მუშაობის პირობები;

ბ) ნამდვილი საჭიროებისადა მიხედვით იმ რიგისამებრ, რომელსაც დააწესებს გზათა სახალხო კომისრის რწმუნებულის (ა/კ. რკინის გზებზე) სამმართველო — ა/კ. რკ. გზ. პროფ. კავშირთა საბჭოსთან და ა/კ. რკ. გზ. შრომის ინსპექციასთან ან წყალზე მომუშავეთა კავშირთან (კუთვნილებისამებრ) შეთანხმებით;

გ) თვინიერ გზათა კომისრის რწმუნებულის (ა/კ. რკ. გზ.) სამმართველოს ვალდებულებისა—მისცეს გამოსახლებულს სხვა საცხოვრებელი სადგომი, ხოლო ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანომ აუცილებლად უნდა მისცეს გამოსახლებულ ნუშასა და მოსამსახურეს სადგომი;

დ) გზათა სახალხო კომისრის რწმუნებულის (ა/კ. რკ. გზ) სამმართველოს ვალდებულებით—მისცეს გამოსახლებულს სატრანსპორტო საშუალება ქონების უსასყიდლოდ გადაზიდვისათვის.

შენიშვნა 1. იმ თანამდებობათა სია, რომელიც ეთანადება ამა მე-6 მუხ. „ა“ პუნქტში აღნიშნულ კატეგორიას, განისაზღვრება ინსტრუქციით, რასაც გამოსცემს გზათა სახალხო კომისრის რწმუნებულის (ა/კ. რკ. გზ.) სამმართველო, ა/კ. პროფ. კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით.

შენიშვნა 2. უკეთუ, ამა მე-6 მუხ. „გ“ პუნქტის წესისამებრ, ადგილობრივი ორგანოები ორი კვირის განმავლობაში არ მიუჩენენ გამოსახლებულ მუშას თუ მოსამსახურეს სადგომს, გზათა სახალხო კომისრის რწმუნებულის (ა/კ. რკ. გზ.) სამმართველოს უფლება აქვს გამოსახლებისა, თვინიერ სხვა სადგომის მიცემისა ან ა/კ. რკინისგზით უფასოდ გასტუმრებისა, ხოლო გამოსახლებულს უფლება აქვს უფასოდ გადაზიდოს საოჯახო ნივთები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხ. 7. უფლება მიეცეს გზათა სახალხო კომისარიატის ორგანოებს (ა/კ. სფსრ-ში), ამა დადგენილების მე-2—6 მუხ. აღნიშნული წესების შესრულებით, გამოასახლოს ადმინისტრატიულის წესით ის, ვინც გზათა სახალხო კომისარიატის ორგანოების (ა/კსფსრ-ში) სამსახურში არ იმყოფება იმ სადგომიდან, რომელიც მათ გამგებლობაშია, და მდებარეობს ისეთ მიწის ნაკვეთზე, რაც უშუალოდ აკრავს წყალსავალ გზებს და ამ გზებისთვის გამოიყენება (საექპლოატაციო ზოლი).

მუხ. 8. დაევალოს გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს განსაზღვროს იმ ორგანოთა წრე, რომელთაც მიეცემათ უფლება მოახდინოს ხელმე ვანკარგულება გამოსახლების შესახებ მე-7 მუხ. წესისამებრ.

II. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წ. თებერვლის 2-ს დადგენილების სათაური შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი ოედაქციით:

„სსრ კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კ სფსრ-ში) საამართველოს გამგებლობაში ქონებული სადგომებიდან უცხო პირთა გამოსახლების შესახებ".

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. ოქტომბრის 12.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1009 №-ში 1925 წ. ოქტომბრის 22-ს.

დადგენილება ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

522. ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა (საქართველოს ს. ს. რ-ში, აზერბაიჯანის ს. ს. რ-ში და სომხეთის ს. ს. რ-ში) სამმართველოებთან არსებული სამრეწველო-ეკონომიური (საკომერციო) განათლების ხელისშემწყობი კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა სამმართველოებთან არსებული სამრეწველო-ეკონომიური (საკომერციო) განათლების ხელისშემწყობი კომიტეტის შესახებ.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ლუკაშინი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თანამდ. დრ. აღმ. **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. ოქტომბრის 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებულება ა.პ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა (საქართველოს ს. ს. რ-ში, აზერბაიჯანის ს. ს. რ-ში და სომხეთის ს. ს. რ-ში) სამმართველოებთან არსებული სამრეწველო-ეკონომიური (საკომერციო) განათლების ხელისშემწყობი კომიტეტის შესახებ.

I. კომიტეტის მიზნები.

1. სამრეწველო-ეკონომიური (საკომერციო) განათლების ხელისშემწყობი კომიტეტები დაარსდებიან ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულების სამმართველოებთან, და სათანადო რესპუბლიკის ფარგლებში მათ მიზნად აქვთ:

ა) ხელი შეუწყონ სამრეწველო-ეკონომიური (საკომერციო) განათლების განვითარებას და განმტკიცებას უწყებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე, რაცა დაკმაყოფილებულ იქნეს დაწესებულებათა, საწარმოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, აგრეთვე კვალიფიციურ მომუშავეთა მოთხოვნილებანი ვაჭრობისა და მასთან დაკავშირებულ სახალხო მეურნეობის სხვა და-სხვა დარგის სფეროში;

ბ) ხელი შეუწყონ სამრეწველო-ეკონომიური სასწავლებლების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და განმტკიცებას;

გ) გამოარკვიონ დაწესებულებათა, საწარმოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მოთხოვნილება, თუ რამდენი სჭირდებათ მათ 1-ლ მუხლში აღნიშნული მომუშავენი, და ხელი შეუწყონ სამრეწველო-ეკონომიური ტიპის სასწავლებლის გახსნას უწყებული რესპუბლიკის ფარგლებში, განათლების სახალხო კომისარიატთან და სათანადო უწყებასთან შეთანხმებით;

დ) მიიღონ მონაწილეობა, თავის წარმომადგენელთა მეშვეობით, სამრეწველო-ეკონომიურ სასწავლებელთა ტიპის, მათი ქსელის, სასწავლო გეგმისა და სხვ. რამ ამის. დამყარების საკითხის განხილვაში; აგრეთვე წარადგინონ ხოლმე ამ საკითხების შესახებ თავისი მოსაზრებანი და დასკვნანი სათანადო სახელმწიფო დაწესებულებაში;

ე) გააერთიანონ სამრეწველო-ეკონომიური (საკომერციო) განათლების ხელისშემწყობი ადგილობრივი კომიტეტების მოქმედება, აგრეთვე ავტონომიურ რესპუბლიკების ტერიტორიაზე დაარსებულ კომიტეტებისა, დაამტკიცონ, ამ კომიტეტების დებულებანი და ხელი შეუწყონ მათ დასახული მიზნების განხორციელების საქმეში;

ვ) მოაწყონ საჯარო მოხსენებები, დისპუტები და სხვ. ფართო მასსებ შორის საკომერციო ცოდნის პოპულიარიზაციისათვის;

ზ) გამოსცენ (აგრეთვე ხელი შეუწყონ გამოცემას) სასწავლო წიგნები და ყოველგვარი სახელმძღვანელო სწავლის საქმის ნორმალურ ნიადაგზე დასაყენებლად.

2. კომიტეტს აქვს იურიდიული პირის უფლება, თავისი ბეჭედი და შტამპ.. სათანადო წარწერით.

№ 10 ეროვნული ბიბლიოთეკა

II. კომიტეტის შედგენილობა.

3. კომიტეტის შედგენილობაში მუდმივი წევრის სახით შედიან შემდეგ უწყებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენელნი ამ უწყებათა და ორგანიზაციათა დანიშვნით:

ორი-ორი—ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს და განათლების სახალხო კომისარიატისა, და თითო—სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი, პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს კულტურული განყოფილებისა, საბჭოთა ვაჭრობის მოსამსახურეთა კავშირისა, რესპუბლიკანური კოოპერატიული კავშირისა, დედა-ქალაქის ბირჟისა და ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტისა.

III. კომიტეტის სამმართველო.

ა. კომიტეტის პლენუმი და მისი უფლება-მოვალეობანი.

4. მთავარი ხელმძღვანელი ორგანო, რომელიც მთლად კომიტეტის მუშაობას წარმართავს, არის კომიტეტის პლენუმი.

5. კომიტეტის პლენუმი აარჩევს კომიტეტის პრეზიდიუმს, რომელიც მოეწყობა ამა დებულების მე-9 მუხლის თანახმად, ერთის წლის ვადით.

6. პლენუმს მოიწვევს ხოლმე კომიტეტის პრეზიდიუმი თვეში ერთხელ მაინც. უკეთუ სასწრაფო საკითხები იქნება ან უკეთუ კომიტეტის 3 წევრი მოითხოვს, პრეზიდიუმი მოახდენს პლენუმის საგანგებო სხდომას.

7. პლენუმის კრება შემდგარად ჩაითვლება, უკეთუ დაესწრო კომიტეტის ყველა წევრთა $^1/_3$ მაინც. უკეთუ სათანადო კვორუმი არ იქნა, პრეზიდიუმი დანიშნავს მეორე კრებას, რომელიც შემდგარად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

8. კომიტეტის პლენუმი:

ა) მოისმენს და დაამტკიცებს პრეზიდიუმის მოხსენებებს და ანგარიშს მისი მოქმედების შესახებ, დაამტკიცებს კომიტეტის ხარჯთაღრიცხვას და მუშაობის გეგმას;

ბ) განიხილავს და გადასწყვეტს პრეზიდიუმისა და წევრების მიერ სხდომაში შეტანილ საკითხებს;

გ) მისცემს პრეზიდიუმს სახელმძღვანელო დირექტივებს მისი მოქმედებისათვის.

ბ. კომიტეტის პრეზიდიუმი და მისი უფლება-მოვალეობანი.

9. პრეზიდიუმი შესდგება კომიტეტის სამი წევრისა და ერთი კანდიდატისაგან. პრეზიდიუმის თავმჯდომარეს (იგივეა კომიტეტის თავმჯდომარეც) დანიშნავს ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული კომიტეტის წევრთაგან. პრეზიდიუმის დანარჩენ წევრებს აარჩევს კომიტეტის პლენუმი.

10. პრეზიდიუმი აწარმოებს კომიტეტის ყველა მიმდინარე საქმეს პლენუმის დირექტივებისამებრ.

11. პრეზიდიუმი განაგებს ქონებას და თანხებს პლენუმის მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვისა და გეგმის ფარგლებში, და თვალყურს ადევნებს თანხების წესიერად ხარჯვას.

IV. კომიტეტის სახსარი.

12. კომიტეტის სახსარს შეადგენს:

ა) დაინტერესებულ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მიერ, მომქმედ კანონდებულებათა ფარგალში, გადადებული სხვა-და-სხვა ერთდროული და პერიოდული ანარიცხი და გადასახდელი;

ბ) ნებაყოფლობითი გამოსაღები და ერთდროული შემოწირულება;

გ) ლექციებისა, მოხსენებებისა, საღამოებისა და სხვ. რამ ამისთ. შემოსავალი.

13. ის თანხები, რაც, ამა დებულების მიხედვით, შემოვა სპეციალური მიზნით და ამა თუ იმ დანიშნულებით, არ მოხმარდება სხვა რაიმე საჭიროებას.

V. კომიტეტის ანგარიშგება.

14. კომიტეტი აწარმოებს ანგარიშგებას დადგენილი ფორმით და არსებული წესისამებრ და თავისი მოქმედებისათვის ანგარიშვალდებულთა ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (უწყებულ რესპუბლიკაში) სამმართველოს წინაშე.

VI. ლიკვიდაცია.

15. კომიტეტის ლიკვიდაცია მოხდება ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის განკარგულებით.

16. კომიტეტის ლიკვიდაციის შემდეგ, მთლად მისი სახსარი და ქონება, შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის განკარგულებისამებრ, გადაეცემა უწყებული რესპუბლიკის იმ ორგანოებს, რომელნიც ანხორციელებენ კომიტეტის მიზანთა ანალოგიურ მიზნებს.

დადგენილება № 3 (59) ა/კ სფსრ შინა-ვაჭროგის სახალხო კომისარიატისა.

1925 წ. ოქტომბრის 22.

(მოწესრიგების სამმართველოსათვის)

523. ადგილობრივი და უცხოეთიდან შემოტანილი ჩაის საბითუმო და ცალობითი (საეტიკეტო) ფასების შესახებ.

ა/კ სფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1924

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილემის მე-3 მუხ. „ბ“ პ. თანახმად—ა/კ სფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, თავისი, 1925 წ. ივლისის 23-ს თარიღისა და 49 №-რის, დადგენილების მე-3 მუხ. შესაცვლელად, ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს, რომ წონად დანაწილებული ადგილობრივი და უცხოეთის „ბაიხოვი“ შავი ჩაის საბითუმო ფასი—ფრანკო-საწყობი გამყიდველისა—დამყარდება ა/კ სფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1925 წ. ივლისის 23 ს თარიღისა და 49 №-რის დადგენილებით დაწესებული საეტიკეტო ცალობითი ფასების შემდეგი მონაკლებით.

უცხოეთიდან შემოტანილ, ჩაის სამმართველოს, ცენტრალური კავშირისა და ა/კ. სახელმწიფო ვაჭრობის მიერ წონად დანაწილებული, შავი ჩაისა და ადგილობრივი, საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობისა და საქართველოს ს. ს. რ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სახალხო მამულების ტრესტის მიერ წონად დანაწილებული, ჩაისთვის—16,66 პროც., ამასთანავე საბითუმო ფასები არ უნდა აღემატებოდეს შემდეგ რაოდენობას 400 გრამზე (1 გირვ.):

	ჩაის სამმართველოს, ცენტრკავშ. და ა/კ. სახელმწ. ვაჭრობის მიერ წონად დანაწილებული უცხოეთიდან შემოტანილი ჩაისთვის.	საქართველოს სახელმწ. ვაჭრობისა და საქართველოს ს. ს. რ. მიწათმოქმედ. სახ. კომის. სახალხო მამულების ტრესტის მიერ წონად დანაწილებული ადგილობრივი ჩაისათვის.
უმაღლესი ხარისხი	3 მან.	1 მან. და 66 კაპ.
1-ლი ხარისხი	2 მან. და 27 კაპ.	1 მან. და 16 კაპ.
მე-2 ხარისხი	1 მან. და 74 კაპ.	83 კაპ.
ნაფშხვენი		41 კაპ.

შენიშვნა. აღნიშნული უკიდურესი ფასები გავრცელდება პარტიობით გაყიდვაზედ, დაწყებული 60 კილოგრამიდან და მეტიც.

2. ა/წ. ივლისის 23 ს თარიღისა და 49 №-რის დადგენილების 1, 2, 3, 4, და 5 მუხ. დატოვებულ იქნეს ძალაში.

3. ა/კ სფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებმა ა/კ. სფსრ.ში შემავალ რესპუბლიკებში უნდა იქონიონ მეთვალყურეობა ამა დადგენილების სისწორით აღსრულებისათვის.

4. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ სფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე **გამყრელიძე**.

მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **სტეფანიანი**.

საქმეთა მმართველი **ეირანოვი**.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 5014 №-ში 1925 წ. ოქტომბრის 28-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

524. **ა/კ სფსრ სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოებათა ნორმალური წესდების 38 მუხ. ახალი რედაქციის შესახებ.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

მუხ. 38 ა/კ სფსრ სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოებათა ნორმალური წესდებისა (გამოქვ. „ზარია ვოსტოკა“-ს 745 №-ში 1924 წ. დეკემბრის 5-ს) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„სესხი გაიცემა ვექსილით და სხვა სავალო ვალდებულებით და სოლო-ვექსილით, რაც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებისა, საქონლისა და მოძრავი ქონების გირავნობით, სხვათა შორის, განსაკუთრებულ შემთხვევაში, ისეთი შენობისაც, რომელიც საგლეხო მეურნეობის აუცილებელ კუთვნილებას არ შეადგენს; აგრეთვე სესხი გაიცემა სასოფლო-სამეურნე პროდუქტებისა, ამ პროდუქტების დოკუმენტებისა და მომავალი მოსავლის დაგირავებით ან საიმედო თავდებობით“.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. ოქტომბრის 26.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1015 №-ში 1925 წ. ოქტომბრის 29-ს.

დადგენილება ა/კ. ს. ფ. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატისა.

1925 წ. ოქტომბრის 27.

№ 780.

525. **ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში 1924—1925 საშენაწერო წლის ძირითადი რენტის გადახდის ვადის შეცვლის შესახებ.**

ს. ს. რ. კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის ა/წ. ოქტომბრის 20-ს თარიღისა და 041630—401 №-რის ნებართვის თანახმად ა/კ. ს. ფ. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატი ადგენს:

ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის ა/წ. ოქტომბრის 6-ს თარიღისა და 732 №-ის დადგენილების შესაცვლელად—ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში 1924-

ეროვნული ბიბლიოთეკა

1925 საშინაწერო წლის ძირითადი რენტის გადახდის უკიდურეს ვადად დაწესებულ იქნეს 1925 წ. დეკემბრის 31.

ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო
კომისრის მოადგილის მაგიერ **ერქომაიშვილი.**

საგადასახადო სამმართველოს უფროსის
თანამდებობის დროებით აღმასრულებელი **ოსიტაშვილი**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1015 №-ში 1925 წ. ოქტომბრის 29-ს.

დადგენილება ა|კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

526. ა|კ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე ლოტერეის გამართვის, აკრძალვის შესახებ.

ს. ს. რ. კ. სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის ივლისის 24-ს და 1924 წლის იანვრის 17-ს დადგენილებებთან შეთანხმებით ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. აკრძალულ იქნეს ა/კ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე ამა თუ იმ ლოტერეის გამართვა, ვიდრე საამისოდ განსაკუთრებული დადგენილება გამოიცემოდეს.

2. ყველა ორგანიზაციამ და დაწესებულებამ, რომელიც-კი უკვე შეუდგა ლოტერეის გამართვას, უნდა მოსპოს იგი ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა.

3. ამა დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნული ლოტერეების ლიკვიდაციის წესსა და ფორმას დაადგენენ ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. ოქტომბრის 26.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1016 №-ში 1925 წ. ოქტომბრის 30-ს

დადგენილება ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

527. სასინჯო ზედამხედველობის შესახებ.

ს. ს. რ. კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სასინჯო ზედამხედველობის დებულების“ შესახებ 1925 წლის აპრილის 10-ს თარიღით გამოცემული დადგენილების (სსრკ კან. კრებ. 1925 წ. 26 №-რი, მუხ. 180) თანახმად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I. 1) ა/კ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე არსებული სასინჯო დაწესებულებათა უშუალო ხელმძღვანელობა და გამგებლობა თავმოყრილია ა/კ. ს. ფ. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატში (სავალიუტო სამმართველოს სახით).

2) ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალ რესპუბლიკებში სასინჯო ზედამხედველობა განხორციელდება აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს სასინჯო სამმართველოთა მიერ, რომელნიც ექვემდებარებიან ა/კ. ს. ფ. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის სათანადო რწმუნებულებს.

II. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წ. დეკემბრის 17-ს დამტკიცებული დებულება (კან. კრებ. 1924 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 10—11) სასინჯო ზედამხედველობის შესახებ **გაუქმებულ იქნეს.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ლუკაშინი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი—**სასახლე.** 1925 წ. ოქტომბრის 26.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1016 №-ში 1925 წ. ოქტომბრის 30-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

528. **იმ კანონთა შესახებ, რომელთაც დაჰკარგეს ძალა ს. ს. რ. კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1925 წ. ოქტომბრის 2-ს დამტკიცებული „გადასახადთა გადახდევინების დებულების“ სამოქმედოდ შემოღების გამო.**

ს. ს. რ. კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1925 წ. ოქტომბრის 2-ს დამტკიცებული „გადასახადთა გადახდევინების დებულების“ სამოქმედოდ შემოღების გამო ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს—**გაუქმებულ იქნეს:**

1) ა/კ. ცენ. აღმ. კომ. და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახ. კომ. საბჭოს მიერ 1923 წ. აპრილის 21-ს დამტკიცებული დებულება გადასახადთა და გამოსაღებათა გადახდევინების შესახებ (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კან. კრ. 1923 წ.მე-7 №-რი, მუხ. 81);

2) ა/კ. ცენ. აღმ. კომ. და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახ. კომ. საბჭოს 1923 წ. აგვისტოს 13-ს დადგენილება—სახელმწიფო ფულადი გადასახადებისა და გამოსაღების პატიებისა, ვადის გადადებისა და განაწილებისა და ხაზინაში არა-მართლერად შესული თანხების დაბრუნების შესახებ (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კან. კრებ. 1923 წ. მე-10 №-რი, მუხ. 180);

3) ა/კ. ცენ. აღმ. კომ. და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახ. კომის. საბჭოს 1923 წ. ნოემბრის 26 ს დადგენილება—ადგილობრივი ფულადი გადასახადებისა და გამოსაღების პატიებისა, ვადის გადადებისა და განაწილებისა და ამ გამოსაღებში არა მართლიერად შესული თანხების დაბრუნების შესახებ (ა/კ. ს. ფ. ს. რ, კან. კრ. 1923 წ. მე-12 №-რი, მუხ. 247);

4) ა/კ. ცენ. აღმ. კომ. და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახ. კომ. საბჭოს 1923 წ. დეკემბრის 31-ს დადგენილება—ა/კ. ცენ. აღმ. კომ. და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახ. კომის. საბჭოს 1923 წ. აგვისტოს 13-ს დადგენილების მე-3 და მე 4 მუხ. შეცვლის და დამატების შესახებ (ა/კ.ს. ფ. ს. რ. კან. კრებ. 1924 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 6);

5) ა/კ. ცენ. აღმ. კომ. და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახ. კომ. საბჭ. 1924 წ. მარტის 3-ს დადგენილება—გადასახადთა და გამოსაღებთა დებულების მე-6 მუხ. რედაქციის შეცვლის შესახებ (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კან. კრებ. 1924 წ. მე-3 №-რი, მუხ. 50);

6) ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახ. კომის. საბჭოს 1924 წ. თებერვლის 28-ს დადგენილება—დაწესებულებათა, საწარმოთა და კერძო პირთა მოვალეობის შესახებ საგადასახადო განყოფილებათათვის ნარდად მუშაობისა და ყიდვა-მოწოდების თაობაზე ცნობების შეტყობინების გამო (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კან. კრ. 1924 წ. მე 3-რი, მუხ. 51);

7) ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახ. კომ-თა საბჭოს 1924 წ. სექტემბრის 19-ს დადგენილება—ნარდად მომუშავეთა და გამყიდველ-მიმწოდებელთა მიერ სასარეწაო გადასახადის გასტუმრების საქმის მომწესრიგებელ ღონისძიებათა შესახებ (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კან. კრებ. 1924 წ მე-7 №-რი, მუხ. 228);

8) ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახ. კ-თა საბჭოს მიერ—სახელმწიფო შემოსავლის ზოგიერთი კატეგორიის გადასახდელის უდავო წესით გადახდევინების შესახებ—1924 წ. ნოემბრის 18-ს თარიღით გამოცემული დადგენილების 1-ლი მუხლი და მე-5 მუხ. ის ნაწილი, რომელშიაც ნაჩვენებია 1-ლი მუხლი (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კან. კრ. 1924 წ. მე-8 №-რი, მუხ. 277)

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. ოქტომბრის 26.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1016 №-ში 1925 წ. ოქტომბრის 30-ს.

ინსტრუქცია აკსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა

529. გერმანულ საწარმოთა სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის ვადის შეცვლის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მე-4 №-რის დადგენილების (კან. კრებ. 1925 წ. მე-3 №-რი, მუხ. 378) 26 მუხლის თანახმად და ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ინსტრუქციის (კან. კრებ. 1925 წ. მე-6 №-რი, მუხ. 439) მე-12 მუხ. შესაცვლელად—ა/კსფსრ შინავაჭრობის სახალხო კომისარიატი, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ., აზერბაიჯანის სოც. საბჭ. რესპ. და სომხეთის სოც. საბჭ. რესპ. იუსტიციის სახალხო კომისარიატებთან და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებთან შეთანხმებით, ადგენს:

1. გერმანულ საწარმოთა სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის ვადა განგრძობილ იქნეს 1926 წ. იანვრის 1-დე.

ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე **გამყრელიძე.**

საქმეთა მმართველი **ეირანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1016 №-ში 1925 წ. ოქტომბრის 30-ს.

ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. პლეხ. პრ. № 91.

მთავარლიტ 1849. შეკ. № —/303. დაიბეჭდა 1500.